



საქართველოში მოღვაწე ჟურნალისტებს შორის “ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების“ თემაზე გამოქვეყნებული საუკეთესო ტელე, რადიო სიუჟეტისა და საგაზეთო/ფოტო რეპორტაჟის შესარჩევი კონკურსის პირობები

კონკურსი ჩატარდება BP-სა და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული “ენერგოეფექტურობის პროგრამა საქართველოს თემებისათვის - ენერგოავტობუსის პროექტის“ ფარგლებში.

1. ზოგადი ინფორმაცია

„ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების“ პოპულარიზების მიზნით 2009 წლის 20 ივლისიდან ცხადდება კონკურსი ჟურნალისტებს შორის აღნიშნული თემატიკის შესახებ გამოქვეყნებული საუკეთესო ტელე, რადიო, ფოტო და ბეჭდვითი რეპორტაჟის გამოსავლენად. საუკეთესო ნამუშევრების ელექტრონული ვერსიები გამოქვეყნდება „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“-ა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების ვებგვერდებზე.

კონკურსი ტარდება BP-სა და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული “ენერგოეფექტურობის პროგრამა საქართველოს თემებისათვის - ენერგოავტობუსის პროექტის“ ფარგლებში, რომლის მიზანია აამაღლოს საზოგადოებრიობის ინფორმირებულობა ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების საკითხებში. აღნიშნულ თემატიკაზე მაღალ-პროფესიული მედია პროდუქტის შექმნის წახალისების მიზნით ვიწვევთ ელექტრონული და ბეჭდური მედიის ჟურნალისტებს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში და წარმოადგინონ მათ მიერ გამოქვეყნებული მასალა. .

კონკურსის მონაწილეებმა ნამუშევრები უნდა გამოგზავნონ "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

კონკურსში გამარჯვებული რეპორტაჟების ავტორები გამოვლინდებიან რეპორტაჟების გამოქვეყნების მიხედვით ეტაპობრივად.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილოვება გაიმართება 2010 წლის თებერვალში ორგანიზებულ ”მდგარადი ენერგეტიკის - ენერგოავტობუსის დღეს“ ღონისძიებაზე.

კონკურსი ტარდება 3 ეტაპად.

1-ლი ეტაპში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები უნდა გამოგზავნონ "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" ქვემოთ მოცემულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 30 ივლისისა.

2-ე ეტაპი მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები უნდა გამოგზავნონ "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" ქვემოთ მოცემულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 30 ოქტომბრისა.

3-ე ეტაპი მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები უნდა გამოგზავნონ "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" ქვემოთ მოცემულ მისამართზე არაუგვიანეს 2010 წლის 15 იანვრისა.

გამარჯვებული ნამუშევრები გამოვლინდება კომპეტენტური ჟიურის მიერ სამივე ეტაპის დასრულების შემდეგ.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოვება გაიმართება 2010 წლის თებერვალში ორგანიზებულ "მდგარადი ენერგეტიკის - ენერგოავტობუსის დღის" ღონისძიებაზე.

გამარჯვებულებს გადაეცემათ სპეციალური სიგელები და ფულადი პრემია:

I პრიზი საუკეთესო ტელე/რადიორეპორტაჟისათვის – 500 აშშ დოლარის ოდენობით (გადასახადების გათვალისწინებით);

II პრიზი საუკეთესო ტელე/რადიორეპორტაჟისათვის – 300 აშშ დოლარის ოდენობით (გადასახადების გათვალისწინებით);

III პრიზი საუკეთესო ტელე/რადიორეპორტაჟისათვის – 200 აშშ დოლარის ოდენობით (გადასახადების გათვალისწინებით);

I პრიზი საუკეთესო საგაზეთო/ფოტო/ რეპორტაჟისათვის – 500 აშშ დოლარის ოდენობით (გადასახადების გათვალისწინებით);

II პრიზი საუკეთესო საგაზეთო/ფოტო/ რეპორტაჟისათვის – 300 აშშ დოლარის ოდენობით (გადასახადების გათვალისწინებით);

III პრიზი საუკეთესო საგაზეთო/ფოტო/ რეპორტაჟისათვის – 200 აშშ დოლარის ოდენობით (გადასახადების გათვალისწინებით).

2. კონკურსში მონაწილეობის წესები და პირობები

კონკურსზე დაიშვება მხოლოდ ორიგინალური ნამუშევრები.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:

- დისკზე ჩაწერილი გადაცემა ; (ტელე/რადიო კომპანია და სიუჟეტის ეთერში გასვლის დრო)
- საგაზეთო რეპორტაჟის ბეჭდური ვერსია (გაზეთი/ჟურნალი, სადაც სტატია ან ფოტორეპორტაჟი გამოქვეყნდა).

საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორი კონვერტით: პირველ (გარე) კონვერტზე მხოლოდ ეტაპის და ტელე-რადიო ან საგაზეთო/ფოტო კონკურსის დასახელებით, მეორეზე კი – ავტორის გვარის, სახელის, მამის სახელის, გამოცემის, სადაც იგი მუშაობს (თუ დამოუკიდებელი ჟურნალისტია, აუცილებელია, მიეთითოს, სად დაბეჭდილა აქამდე მისი ნამუშევრები), მისამართისა და ტელეფონის მითითებით.

ავტორებს წარმოდგენილი მასალები უკან არ დაუბრუნდებათ.

კავშირი „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ იტოვებს საავტორო უფლებას, გამოსცეს გამარჯვებული ნამუშევრები არაკომერციულ საფუძველზე.

3. ჟიურის მუშაობის წესი

კონკურსის შედეგებს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ: დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, პროექტის ხელმძღვანელი პირები, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მოწვეული ექსპერტი.

ჟიურის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება ჟიურის წევრთა 2/3. გამარჯვებული ნაწარმოები გამოვლინდება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ჟიურის თავმჯდომარე. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. ჟიურის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე:

(+995 32) 242540; 242541, ფაქსი: (+995 32) 242542.

მისამართი: თბილისი, 0160, დ. გამრეკელის ქ. N19, VI სართული.